



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
თ ე რ ჯ ო ლ ა  
მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 46 59

30/05/2018

**ლაშა ლანჩავას შვებულების შესახებ**

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N17 დადგენილების „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ 39<sup>1</sup> -ე მუხლის მეორე ნაწილის, ფრაქცია ქართული ოცნება-კონსერვატორების საქართველოს 2018 წლის 24 მაისის სხდომის N7 ოქმის შესაბამისად და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის ლაშა ლანჩავას 2018 წლის 24 მაისის №78/46 განცხადების საფუძველზე ვბრძანებ:

**მუხლი 1.** მიეცეს კუთვნილი ანაზღაურებადი შვებულება თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარე ლაშა ლანჩავას 2018 წლის 5 ივნისიდან 2018 წლის 1 ივლისამდე 19 სამუშაო დღით. საშვებულებო ანაზღაურების დარიცხვა მოხდეს წინასწარ.

**მუხლი 2.** ფრაქცია „ქართული ოცნება-კონსერვატორების“ თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ბერეკაშვილმა. გიორგი ბერეკაშვილს მიეცეს ფრაქციის თავმჯდომარის 2018 წლის ივნისის თვის კუთვნილი ლიმიტები. გიორგი ბერეკაშვილს საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულების პერიოდში დაერიცხოს თანამდებობრივი სარგო საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.

**მუხლი 3.** ბრძანება ჩაბარდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს აპარატის უფროს სპეციალისტს საკადრო საკითხებში.

**მუხლი 4.** ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 5.** ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო